პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 20 სექტემბერი 1978 წ. № 221 (17265) ფასი 2 კაპ.

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

ახლოვდება ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავი

როგორ ემზადებით ამ ღირსშესანიშნავი დღის შესახვედრად?

დამკვრელური შრომით რა ახალ დირსეულ საჩუქრებს უმზადებთ საყვარელ სამშობლოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტიტუციის დღის შესახვედრად

ორი კვირაც და ერთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხს გზას უნათებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი, რომელმაც დაამკვიდრა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების შედეგები მთელი ხანოკი წლის მანძილზე და ნათლად გვიჩვენა, რომ წარმატებით ბორციელდება ოქტომბრის მიერ დასახული იდეები, დიდი ლენინის ანდერძი.

განვითარებული სოციალიზმის ახალმა კონსტიტუციამ მთელი ხიცხადით ასახა ჩვენი მონაპოვრები, მისწრაფებები და იმედები, განსაზღვრა უფლება-მოვალეობანი, დაამკვიდრა მიღწეული და დაგვისახა კომუნისტური მშენებლობის შემდგომ გაშლილ დიდი პერსპექტივა.

ამიტომაც იყო, რომ ახალი კონსტიტუცია ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა ხალხმა, თავისი შემოქმედებითი საქმიანობის მუდმივ თანამგზავრად გაიხადა და მის თითოეულ სტრიქონს მიუსადაგა პრაქტიკული საქმიანობა.

ახალი კონსტიტუცია საბჭოეთის ქალაქსა თუ სოფლის მშრომელთა ახალი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ამაღლების ხტომული გახდა.

ერთი წელია კონსტიტუციის კეთილნაყოფიერ გავლენას განიცდის ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, შრომითი კოლექტივების აბსოლუტური უმრავლესობა ჩაბმულია ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში — „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავისთვის შესანიშნავი წლიური დავალება", „ღირსეულად შევხვდეთ კონსტიტუციის დღეს".

და აი ახლოვდება დრო, როცა საბჭოთა ხალხმა უნდა შეაჯამოს თავისი ცხოვრების ძირითადი კანონის მოქმედების და ცხოველმყოფელობის პირველი წლის შედეგები, თუ როგორ გამოიყენა მან გზის მანათობელი ეს ლამპარი, რა ხარკი გაიღო მისი დემოკრატიული დებულებებისა და დასკვნების, დაკანონებული უფლება-მოვალეობების, თავისუფლებათა განხორციელებისათვის.

ამ ფიქრით, ამ მისწრაფებით შრომობენ დღეს საქართველოს მშრომელები, რომელთა ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის, ყოფა-ცხოვრების ხაზომი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციაა, რომელშიც მთელი სიღრმით აისახა რესპუბლიკის თავისებურებები, დაკანონდა ეროვნულიზეული უფლებები და მოვალეობანი. საქართველოს მშრომელებმა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებისთანავე კიდევ უფრო მეტი ენერგიით გაიჩაღეს ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, აქტიურად შეუდგნენ საერთო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების და პასუხისმგებლობის ამაღლების რეზერვების ძიებას, გულისყურით ეცნობოდნენ და ნერგავდნენ თავიანთ მუშაობაში ყოველ ახალ თაობლობას და გამოცდილებას.

ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, მომსახურების დარგების მშრომელებმა შეახორულეს თავიანთი პირობა, ბევრ უბანზე საგრძნობლად გააუმჯობესეს ეკონომიკური მაჩვენებლები, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს უყაირათობას და გულგრილობას, დღითი დღე მცირდება ჩამორჩენილი კოლექტივების რიცხვი.

ცალკეულმა კოლექტივებმა, მშრომელებმა, რომლებსაც გადიდებული ვალდებულებები ჰქონდათ ნაკისრი კონსტიტუციის წლისთავის შესახვედრად, უკვე პირნათლად გაანაღდეს თავიანთი ხიტყვა — საამობლოს უპატაკეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბევრი მუყაითი ადამიანი შრომობს მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობაში. მათ შორის არიან ცოლ-ქმარი დონარა და შოთა მახარაძეები, რომლებმაც წლეულს დიდძალი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და ნაკისრ ვალდებულებას ორმაგად გადაუჭარბეს. სწორედ ისინი იყვნენ შეჯიბრების თაოსნები თავიანთ კოლმეურნეობაში და მათმა გარჯამ კარგი ნაყოფი გამოიღო, კოლმეურნეობამ უკვე გაანაღდა სახელმწიფო გეგმა და 3.896 ტონის ნაცვლად 5.200 ტონა ჩაის ფოთოლი ჩაბარდა; გუშინ კონსტიტუციის პირველი წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში პროდუქციის უკანასკნელი პარტია გაუგზავნა მომხმარებელს თბილისის კალინინის სახელობის სამხმესელო მოწყობილობის ქარხანამ, საწარმოს კოლექტივი წლეულს დროულად და გრაფიკის გასრულებით ასრულებდა ყველა შეკვეთას; კონსტიტუციის წლისთავის შესახვედრად 35 ახალი მოდელის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ათვისება იკისრეს თბილისის № 2 ხატრიკოტაჟო ფაბრიკაში და პირობა ვადამდე გაანაღდეს; 270 გემდეე დაზოგეს გემების ჩქარსნული დამუშავების მეთოდის დანერგვით ფოთელმა დოკერებმა; ვადამდე შეასრულა ნაკისრი ვალდებულება „მთავარმონტაჟსპეცშენის" თბილისის სპეციალიზებული სამმართველოს კოლექტივმა.

ასეთი მაგალითები ბევრია. და ისინი გვიჩვენებს, რომ ზაქართველოს მშრომელებმა ღრმად შეისწავლეს ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი, იციან თავიანთი უფლებები და მოვალეობანი, მარჯვედ იყენებენ მათ კომუნისტური ხაზოგადოების მშენებლობის ინტერესებისათვის. აი ეს არის საბჭოთა ადამიანების აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, ნიშან-თვისება მაღალი პოლიტიკური კულტურისა, რომლის ფორმირება და განვითარება ეუო და არის ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში.

„ჩვენ გვინდა, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებმა კარგად იცოდნენ თავიანთი უფლებები და თავისუფლებანი, — მიგვითითებს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — მათი განხორციელების გზები და მეთოდები, შეეძლოთ ამ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებისათვის, ნათლად ესმოდეთ მათი ურყევი კავშირი თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობათა კეთილსინდისიერ შესრულებასთან".

ამ მოთხოვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა ახლოვდება კონსტიტუციის წლისთავი, როცა უნდა შეეჯამოთ ჩვენი მუშაობის შედეგები. დიდი და პასუხსაგები პერიოდია ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში — დგება ხუთწლედის მესამე წლის გადამწყვეტი კვარტალი, სოფლად პირუტყვის საკვების დამზადების, ჩაის კრეფის, რთველის ცხარე დღეებია, ამიტომ კონსტიტუციის წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების, შესრულების შედეგების ხაჯაროობა, მოწინავეთა მატერიალური და მორალური სტიმულირება, შეჯიბრების შემდგომი სწორი ორგანიზაცია პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. ყველგან, ყველა უბანზე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახელმწიფო გეგმების და ვალდებულებების შესრულების შედეგების განხილვა მჭიდროდ დაუკავშირდეს ახალი კონსტიტუციის დებულებებისა და დასკვნების. მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიოლოდრიანდელი პლენუმების გადაწყვეტილებების ფართო პროპაგანდას. უნდა გვახსოვდეს კონსტიტუცია დიდ უფლებებს რომ ანიჭებს ხალხთა ადამიანებს. მეტად პასუხსაგებ მოვალეობებსაც აკისრებს: ხაზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისაგან ყოველგვარი თავის არიდება შეუთავსებელია სოციალისტური ხაზოგადოების პრინციპებთან. ყოველი მშრომელი ვალდებულია უფრთხილდებოდეს ხალხური დოვლათს, ჩვენს სოციალისტურ საკუთრებას — ხალხის კოლექტიური შრომის ნაყოფს. მთელი ხაზოგადოების განვითარების საძირკველს. ამ მოძრაობას ხათავეში უნდა ჩაუდგნენ კომუნისტები. სწორედ ისინი უნდა იძლეოდნენ პირად მაგალითს, ეყვნენ შეჯიბრების ბეშპარტი წინამძღოლნი.

არასოდეს ისე ამაღლებული, პატივდებული არ ყოფილა მოქალაქე, როგორც ჩვენს დროშია. ამიტომაც არის, რომ კონსტიტუციის დებულებებთან და დასკვნებთან აღფრთოვანებული მშრომელები დამკვრელურად, ღირსეული საჩუქრებით ეგებებიან ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის წლისთავს.

სახელი და დიდება ამ შეჯიბრების მონაწილეებს!

420.000 ტონა ჩაისათვის!

მეჩაიეთა სასახელო საქმეები

ლანჩხუთელთა წარმატება

ნაცვლად 20.020 ტონისა დამზადებულია 20.122 ტონა ჩაის ფოთოლი

საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი ო. მენაბდე გვატყობინებს:

წლეულს, მიუხედავად ოამინდობისა, რაიონის მეჩაიეებმა კარგად მოუარეს ჩაის პლანტაციებს და მოსავალიც უხვი მოიწიეს. ხაშუალო მექანიზატორმა მაჩვენებელმა 9 ტონას გადააჭარბა. ამან განაპირობა ის, რომ ვადაზე ადრე შეასრულეთ სახელმწიფოსთვის ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება. დღეისათვის მოკრეფილია 20.122 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 20.020 ტონისა. დამზადებული ჩაის ნედლეულის 70 პროცენტი პირველი ხარისხისა.

სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში თავი გამოიჩინეს მამათის, შოხუთის, სუფსის, აცანის, აკეთის, ნიგეზაურის, ჩიბათის, გეიმბალაურის კოლმეურნეობებმა, ლანჩხუთის საბჭოთა მეურნეობამ.

მეჩაიეებმა ტ. სტურუამ (ბიგეზაანის კოლმეურნეობა), ქ. ნიბაიძემ (ლანჩხუთის საბჭოთა მეურნეობა) 21-21 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, საანალიზო შესაბამისად 76,2 და 78 პროცენტი პირველი ხარისხისა. მათ უხვი მოსავლისათვის ბრიგადაში მზარს უსწორებენ მამათელი მეჩაიეები ლ. ჩხაიძე და ნ. ციკაძე, ჩორჩხანელი ნ. სარიშვილი, აცანელი ლ. ვეიმარაძე, ლესელი ლ. ჭიტნუელი, შოხუთელი თ. ორაგველიძე და სხვ.

ჩაის ფოთლის დამზადება გრძელდება. ლანჩხუთელი მეჩაიეები სეზონის დამთავრებამდე კიდევ 500 ტონის მოკრეფას ვარაუდობენ.

წყალტუბოელ მეჩაიეთა ნობათი

გეგმა ვალდებულებით გათვალისწინებული 11 ათასი ტონის ნაცვლად დამზადებულია 11.325 ტონა ჩაის ფოთოლი

საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი დ. ქიკანაძე გვატყობინებს:

ერთიკვირაა, რაც წყალტუბოელმა მეჩაიეებმა სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება გაანაღდეს.

დღეისათვის რაიონში მოკრეფილია 11.325 ტონა ჩაის ფოთოლი. რაც წლევანდელ გეგმა-ვალდებულებას 325 ტონით, ხოლო შარშან მთელი წლის მანძილზე მოკრეფილს 575 ტონით აღემატება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში სუფეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ცხუკურელმა მეჩაიეებმა (ოლმეურნეობის თავმჯდომარე — ი. ტყაბლაძე), რომლებმაც ვალდებულებით ნაკისრი 768 ტონის ნაცვლად უკვე 830 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ვალდებულების განაღდებაში თავი ისახელეს აგრეთვე მაღლაკის, ოფეურჩხეთის, სორმონის, გეზერტების, წყალტუბოს კოლმეურნეობების შრომითმა კოლექტივებმა, ცალკეულ მეჩაიეთაგან კი სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს ნ. აბაზაძემ, ქ. კუხალაშვილმა, ვ. სვანიძემ და მ. თუთბერიძემ.

მეჩაიეთა ამ წარმატებაში წვლილი მიუძღვის წყალტუბოს ჩაის ფაბრიკების გაერთიანებას.

წყალტუბოელ მეჩაიეთა გადაწყვეტილებაა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავის აღსანიშნავად სეზონის ბოლომდე კიდევ დამზადონ 700 ტონა ჩაის ნედლეული და გეგმა-ვალდებულებას 1.000 ტონით გადაამეტონ.



დიდი რთველი

ასეთია საქართველოს მევენახეთა 1978 წლის გეგმა (ტონობით)

„სამტრესტის" ცნობებით 19 სექტემბრამდე

რაიონები	1977 წლის მოსავალი	1978 წლის გეგმა	გეგმის 50 % მოსავალი	მოსავლიანობა ჰექტარზე
გურჯაანის	80.915	88.000	3.911	13.822
თელავის	45.345	61.200	250	250
ყვარლის	21.201	38.000	1.157	1.330
სიღნაღის	26.729	34.000	899	2.627
ახმეტის	17.366	30.400	—	—
წითელწყაროს	23.042	25.100	619	4.032
საბარათიოს	13.867	24.100	—	—
ლაგოდეხის	5.804	8.500	—	—
მარნეულის	16.201	19.000	46	1.481
ბოლნისის	11.539	11.480	—	—
ბერდაძენის	8.011	10.500	31	81
მცხეთის	7.329	9.050	—	—
კასპის	4.248	8.100	—	—
ხაშურის	3.214	5.500	—	—
გორის	2.000	4.070	—	—
დუშეთის	582	2.100	—	—
თეთრი წყაროს	2.134	2.100	—	—
სამხრეთ ოსეთის აო	373	1.100	—	—
ქარელის	115	750	—	—
ახალციხის	8	40	—	—
ზესტაფონის	25.373	25.000	—	—
თერჯოლის	23.257	21.000	—	—
მაიაკოვსკის	15.238	16.000	—	—
ვანის	13.044	15.650	—	—
საჩხერის	5.525	5.800	—	—
ორჯონიკიძის	5.138	5.500	—	—
ცაგერის	4.533	4.500	—	—
წყალტუბოს	2.742	4.150	—	—
ამბროლაურის	3.231	3.300	—	—
ჩოხატაურის	2.413	2.500	—	—
გეგეჭკორის	1.810	2.200	—	—
ზუგდიდის	1.071	1.900	—	—
სამტრედიის	1.385	1.800	—	—
ჭიათურის ზონა	1.817	1.800	—	—
ცხაკაიას	1.028	1.100	—	—
წალენჯიხის	454	900	—	—
ჩხოროწყუს	756	830	—	—
წულუკიძის	740	700	—	—
მახარაძის	451	500	—	—
ტყიბულის ზონა	410	400	—	—
ონის	263	300	—	—
ლანჩხუთის	119	80	—	—
აფხაზეთის ასსრ	5.089	8.200	—	—
აჭარის ასსრ	1.514	1.800	—	—

- **სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 23.623 ტონა ყურძენი.**
- **18 სექტემბერს მოიკრიფა 6.913 ტონა.**

ოქსვედრეგი გზაზე

19 სექტემბერს ბაქოში მიმავალ გზაზე მატარებლის გაჩერების დროს სადგურ ალიევის ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა და მოკლედ ესაუბრა ოკრაინის კომპარტიის დონეცკის დონეცკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ბ. ვ. კიჩერას, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს ფ. მ. გრიდასოვს, უკრაინის კომპარტიის დონეცკის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს. საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო.

ოლქის ხელმძღვანელებმა ილიჩევსკის მრეწველობისა და მშენებლობის საქმის მდგომარეობაზეც მოსაუბრეს ალიევის მომდინარეობაზე, თუ როგორ წყდება მოსახლეობის ყოფითლდოვნის გაუმჯობესების საკითხები.

ლ. ი. ბრეჟნევმა სთხოვა გადასცენ დონეცკის ოლქის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს მადლობა მეათე ხუთწლედის შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის. მან ყაყოფილებით აღნიშნა, რომ წელა, ამინდის რთული პირობების მიუხედავად, ოლქში მარცვლეულის კარგი მოსავალი მოიწიეს. ლეონიდ ილიჩმა ძმურ დონეცკელ მშრომელებს უსურვა დიდი წარმატებანი ქვანახშირის მოპოვების გადიდებაში, ლითონის წარმოებაში, ქიმიტალური მშენებლობის გაუმჯობესებაში, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის იელისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

ამავე დღეს ლ. ი. ბრეჟნევი როსტოვში გაჩერდა. აქ იგი შეხვდა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ი. ა. ბონდარენკოს. საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს ს. ნ. საბანეევს, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს. ოლქის ხელმძღვანელებთან საუბარში მონაწილეობდა კ. უ. ჩერნენკო.

ი. ა. ბონდარენკომ ლ. ი. ბრეჟნევს გააცნო, თუ რა მუშაობას ეწევიან დონის პარტიული ორგანიზაციები და მშრომელები ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად. მან თქვა, რომ ოლქის სოფლის მშრომელები ამთავრებენ სახელმწიფოსათვის 4 მილიონ 300 ათასი ტონა პურის მიყიდვას. ი. ა. ბონდარენკომ მადლობა მოახსენა ლენინგრ ილიას ძეს მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის" კოლექტივისადმი მისალმებისათვის, რომელმაც ორთა შეასხა ოლქის მშრომელებს, რაც შეიძლება მალე ეღოთ მოსავალი.

ოლქის ხელმძღვანელებმა ილიჩევსკეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მშენებლობის — „ატომმანქანის" მშენებელთა და ექსპლოატაციის მუშაკთა წარმატებული მუშაობის, აგრეთვე კომბაინსაშენებელი ქარხნების რეკონსტრუქციის შესახებ.

ლ. ი. ბრეჟნევმა მადლობა მოახსენა საოლქო პარტიულ ორგანიზაციას და ყველა როსტოველ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა განხორციელებას, ხაზგასმით აღნიშნა მან, საკვანძო მნიშვნელობა აქვს მთლიანად ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციისათვის. ლ. ი. ბრეჟნევმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ყოველმხრივ ამაღლდეს მეურნეობრობის ეფექტიანობა, გაუმჯობესდეს როსტოვული კომბაინების კონსტრუქცია და სხვა იმ პროდუქციის ხარისხი, რომელსაც აქაური საწარმოები უშვებენ.

ლ. ი. ბრეჟნევმა ოლქის ხელმძღვანელებს სთხოვა, როსტოვის ოლქის კომუნისტებს, ყველა მშრომელს მისი სახელით უსურვონ ახალი დიდი წარმატებანი სკკპ XXV ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. (საკდესი).

ბაქო დღეს

აზერბაიჯანის დედაქალაქის მცხოვრებნი ემზადებიან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესახვედრად

ბაქო, 19 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ. ვ. პეტროვისა). ამ შემოდგომის დღეებში „ბაქოთა აზერბაიჯანის დედაქალაქში თითქოს ისევ გამზაფხულდა. ეჩქეეულად თბილა და დარიანი ამინდია. სიო არხევს ალისფერ დროშებს, ტრანსპარანტებს, ფოთელ ქსოვილებს, რომლებზეც გამოსახულია წაყვან საწარმოთა პროდუქცია. ამ თავისებურმა პატაკებმა დაამშვენა ქუჩები და მოედნები. ბაქოელები ემზადებიან ზეიმისათვის, რომელიც ქალაქისათვის სამშობლოს უმაღლესი ჯილდოს — ლენინის ორდენის გადაცემას ეძღვნება. დიდი აღფოთვით, საზეიმო განწყობილებით მოელიან ისინი ამ მოვლენას: ზეიმში მონაწილეობას მიიღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

„თქვენი ჩამოსვლა, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, ბაქოელებს ახალ შრომითს საგმირო საქმეებს შთაგონებს „მადლობა სამშობლოს მაღალი ჯილდოსათვის!" — ხახლებისა და ფაბრიკა-ქარხნების ფასადებზე გამოკრული ტრანსპარანტებზე წარწერილი ეს სიტყვები გამოხატავს მუშათა და მეცნიერთა, კულტურის მოღვაწეთა. სტუდენტთა, ყველა იმ ადამიანთა აზრსა და მისწრაფებებს, ვინც განაგრძობს და ამრავლებს ქალაქის რევოლუციურ, შრომითს დიდებას. ბაქოელთა კარგი განწყობილების მთავარი მიზეზი უეჭნარეს ყოველისა ის შრომითი საქმეებია, რომლებითაც აღნიშნავენ ისინი ხუთწლედის მესამე წელს. უკვე შვიდასზე მეტმა წარმოების მოწინავემ შეასრულა ხუთწლიანი დავალებანი. ათიათასობით შრომელმა უპატაკა სამშობლოს ხუთწლედის სამი და ოთხი წლის დავალებათა შესრულება.

ამ დღეებში სადღესასწაულო ეიბეტიდან მოსულ ყოველ ახალ ამბავში ჩაქსოვილია ადამიანის ბედის ნაწილაკი და მთელი ქალაქის მატიანის შესანიშნავი სტრიქონი. ნიკოლოზ ნოვიკოვისათვის, ელექტრომანქანათმაშენებელი ქარხნის ზეინკლისათვის, პატაკი მისი ბრიგადის მიერ ხუთწლედის სამი წლის დავალების ვადამდე შესრულების შესახებ მარტო ახალი საწარმოო ურთიერთობა როდი გახდა. სან ... ... საუკეთესო ახალგაზრდის ნ. დამრიგებელი სიამაყით ამბობს, რომ წელს უკვე მისი რვა მოწაფე ძველოფიციური მუშა ხარ. და მინაია ახიზოვა, რადიოქარხნის მემონტაჟე, „სასიამოვნო უხერხულობას" განიცდის პირადი წარმატების, მასშტაბის განსაზღვრასა: მარტო მას კი არ შეუურიელია ვადაზე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პირველი წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი, — მისი სამი მოწაფეც ასევე უსწრებს პირად გეგმებს.

სხვადასხვა ხელწერით წერენ მშობლიური ქალაქის შრომითის მატიანეს მისი საველგანმეტული მშრომელები. სამასი ათასზე მეტ კაცს ეყოფოდა საკოსტიუმედ ქსოვილები, რომლებიც მიმდინარე ხუთწლედის დამდეგიდან გამოუშვა გეგმის გადაჭარბებით ვ. ი. ლენინის სახელობის საოლეიქრო კომბინატის საქსოვი წარმოების ოსტატის თანაშემწის თამრიდან ველიევის კოლექტივმა.

და ყველა შრომითს პატაკში იგრძნობა მხურვალე მისწრაფება ამრავლონ მშობლიური ქალაქის შრომითი დიდება, შეიტანონ ღირსეული წვლილი სოციალისტური სამშობლოს აყვავებაში. ამ მისწრაფებებით გამოვლენ ბაქოელები ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე ძვირფასი სტუმრის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესახვედრად.

26 ბაქოელი კომისრის ხსოვნას



აზერბაიჯანის დედაქალაქის ცენტრში, რაიონში, რომელიც 26 ბაქოელი კომისრის სახელობისაა, აღმართულია მემორიალი, ნაავი ესალბუნება მათს პატიოსანემად ანთებულ მარადიულ კოცონს. იგი გვახსენებს რევოლუციონერებს, რომლებმაც ბალხის თავისუფლებას და ბედნიერებას შესწირეს თავიანთი სიცოცხლე. ვის არ ნახავთ აქ: ბავშვებს, ომაშვილებსლილ ვეტერანებს, ბეღნიერ ახალდაქორწინებულ წყვილებს, ცნობისმოყვარე ტურისტებს... აქ ხაზეიმოდ გალესცემენ პიონერის ყელსაბამს, კომკავშირულ ბილეთს, ახალგაზრდა მებრძოლები ერთგულების ფიცს დებენ ხამშობლოს წინაშე.

ბაქო მომზადებული შეხვდა ინტერვენტების მიერ დახვრეტილი 26 კომუნისტის დიდუკის მე-60 წლისთავს. მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში გაიხსნა ექსპოზიციები, დიდი ხამუშაოები შესრულდა მათი სახელობის რაიონში.

სურათზე: 26 ბაქოელი კომისრის მემორიალთან.

ი. რახლინის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

გულითადი მადლობა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. კოსიგინმა მიიღეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელების ტონ დიკ თხანგის, ლე ზუანის, ჩიონგ ტინის, ლამ ვან დონგის სპასუხო დეპეშა, რომელშიც გულითად მადლობას მოახსენებენ კეთილი გრძნობებისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის 33-ე წლისთავის გამო მხურვალე მილოცვისათვის.

ვიეტნამის კომუნისტურ პარტიის, მთავრობისა და მთელ ვიეტნამელ ხალხს, ნათქვამია დეპეშაში, მუდამ ეხსომებათ ის უფიდესი, საყურადღებო და ეფექტიანი დახმარება და მხარდაჭერა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სსრ კავშირის მთავრობა და მოძმე საბჭოთა ხალხი უწევდნენ და უწევენ ვიეტნამელ ხალხს, როგორც სამშობლოს ხსნისათვის ამერიკის შეერთებული შტატებისაღმი წინააღმდეგობის ომის წლებში, ისე ახლა სოციალიზმის მშენებლობისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სოციალიზმის ფორპოსტის—ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის დაცვის საქმეში.

ვუსურვებთ მოძმე საბჭოთა ხალხს, რომ საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და მისი მეთაურის — პატივცემული ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად შეესრულებინოს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული დიდებული ამოცანები კომუნიზმის მშენებლობის გზით საბჭოთა კავშირის სწრაფი, მძლავრი წინსვლისათვის.

დიე განუზრელად განმტკიცდეს და განვითარდეს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე ჩვენი პარტიებისა და ხალხების დიდი მეგობრობა, საბრძოლო სოლიდარობა და ძმური თანამშრომლობა იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებისათვის, მთელი მშოფლიოს მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებისათვის. (საკდესი).

ყაირათიანად გამოვიყენოთ თითოეული მანეთი

მკაცრად მოვთხოვოთ სახელმწიფო თანხების უკანონოდ მხარჯველებს

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საკითხი „საქართველოს სსრ ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ორგანიზაციებსა და საწარმოებში სამსახურებრივი სარგებლობის მსუბუქი ავტომანქანების შენახვის სახსრების გამოყენების საქმეში არსებული უხეში დარღვევების შესახებ“. მიღებულ დადგენილებაში დასახელებია მთელი რიგი ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

როგორც შემოწმების შედეგები გვიჩვენებს, ზოგიერთი ორგანიზაციისა და საწარმოს ხელმძღვანელი მსუბუქი ავტომანქანის შესანახად ზემდგომი ორგანოების მიერ ლიმიტის გამოუყოფლად, ან დამტკიცებული ლიმიტის გადაჭარბებით უკანონოდ ხარჯავს სახელმწიფო თანხებს, რის გამოც მარტო 40 შემოწმებული ორგანიზაციიდან და საწარმოდან 30-ში უკანონოდ დახარჯულია სახელმწიფო თანხა 113,8 ათასი მანეთის ოდენობით.

მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დაქვემდებარებულ 14 შემოწმებული ორგანიზაციიდან ათში უკანონო ხარჯებმა შეადგინა 66,2 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროს 11 შემოწმებულ ორგანიზაციაში — 31 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს რვა შემოწმებულ ორგანიზაციაში — 21,1 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ ფიზიკურ კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის „საქსპორტმშენის“ № 1 სამშენებლო-სარემონტო კანტორამ (უფროსი — გ. ხოფერია) — 3,4 ათასი მანეთი და ა. შ.

უხეშად არღვევენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1978 წლის 17 მარტის ინსტრუქციით დადგენილი წესი სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ავტომანქანების გამოყენების შესახებ. მათი უმრავლესობა არ არის რეგისტრირებული სახელმწიფო ავტოინსპექციაში და არის ფაქტები, როცა მათ დანიშნულებისამებრ არ იყენებენ, რის შედეგად სახელმწიფოს დიდი ზარალი მოსდის.

ყველა ზემოაღნიშნული დარღვევა იმის შედეგია, რომ შემოწმებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები და მათი ბალანსზე მყოფ ორგანიზაციებში ეფექტიანი ფინანსური კონტროლი არ უწევენ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებში სამსახურებრივი მსუბუქი ავტომანქანების გამოყენებას, შეასუსტეს მომთხოვნელობა ამ ხელმძღვანელ მუშაკთა მიმართ, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან სახელმწიფო თანხების უყაირათო ხარჯვას, არ იღებენ ქმედით ზომებს არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

შემოწმებული ორგანიზაციების და საწარმოების სახალხო კონტროლის ჯგუფების უმრავლესობა უმოქმედობას იჩენს ამ საქმეში და არ იყენებს დებულებით მინიჭებულ უფლებებს დამნაშავეების წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით, რაც გამოიხატა სამსახურებრივი მსუბუქი ავტომანქანების შესანახად დამტკიცებული ლიმიტის გადაჭარბებით სახელმწიფო თანხების უკანონოდ ხარჯვაში, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის № 8 სამშენებლო სამმართველოს ნ. მგელაძეს, ამავე სამინისტროს „თბილქალაქმშენის“ მიწისქვეშა სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის მმართველ დ. გუგუციძეს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 2 და № 4 ავტოსატრანსპორტო საწარმოების დირექტორებს ნ. ტყემალაძეს და გ. აზმაიფარაშვილს დაეკისრათ ერთი თვის თანამდებობრივი განკარგეთის ოდენობის თანხის გადახდა. „საქიხმეთერზომმრეწის“ უფროსს ნ. ჯაფარიძეს და № 15 ტრესტის № 5 სამშენებლო სამმართველოს უფროსს ვ. გრიგორიანის პასუხისმგებლობის საკითხი განსაკუთრებულად გადაიკეთ საქართველოს სსრ ქვების მრეწველობისა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროებს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოებს დაეალათ მეტი კონტროლი გაუწიონ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო თანხების მომჭირნეობით ხარჯვას და მკაცრად იმსჯელონ გამოვლენილი დარღვევის თითოეულ ფაქტზე.

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა რვა თვის დავალება.

ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს საწარმოს სახალხო კონტროლიორებმა. ისინი რეგულარულად ამოწმებენ წარმოების მუშაკთა ხამუშაო ადგილებს, თვალყურს ადევნებენ, რომ ნედლეული და მასალა დროულად მიდიოდეს დანიშნულების ადგილას და სხვ.

სურათზე: (მარცხნიდან) მზა პროდუქციის კონტროლიორი დარეჯან წიქვაძე, მრთველი ნარგული ჩხაიძე, საწარმოს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, საქსოვი წარმოების ხანამზადო საამქროს უფროსი ნინო ნოზაძე, სართავი წარმოების უფროსი ბუღალტერი, სართავი წარმოების სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე იოსებ ომერლიშვილი ამოწმებენ ნართის გადახვეის ხარისხს.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (ხაჭინფორმის ფოტოქრონიკა).

მასობრიობის ძალა

მტკიცდება სახალხო კონტროლის ორგანოებისა და „კომკავშირული პროექტორის“ შტაბების ერთობლივი მოქმედების პრაქტიკა

დიდი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე დგას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს „კომკავშირულ პროექტორთან“ ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ ერთობლივი რეიდების, შემოწმებების, დათვალიერებების მოწყობა.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლიორთა 240-ათასიან არმიაში 30-ათასამდე „კომკავშირელია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფების წევრებად არჩეული ყრიან უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების 500 სტუდენტი და მოსწავლე. კომკავშირული შტაბებისა და საგუშაგოების ბევრი ხელმძღვანელი სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრია, ხოლო ბევრი მათგანი სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილეა. თუ ამას დაეუმატებთ „კომკავშირული პროექტორის“ რაზმების, საგუშაგოების წევრების რაოდენობას, ეს უკიდურესი ძალაა, რომელსაც ხალხო კონტროლის ორგანოებთან ერთად ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტის უნარი შესწევს.

ერთობლივი საქმიანობის მიზანი მარტო ის კი არ არის, რომ გამოვავლინოთ ესა თუ ის ნაკლი, ხარვეზი. არამედ ორმად ჩაგწვდეთ მიზეზებს, გამოვძებნოთ მათი აღმოფხვრისა და პროფილაქტიკის რეალური გზები.

სახალხო კონტროლის ორგანოებისა და „კომკავშირული პროექტორის“ შტაბების ერთობლივი მუშაობის კონკრეტული ამოცანები განსაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ „ლატვიის სს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ იქ, სადაც „კომკავშირული პროექტორის“ წევრები ყოველ საქმეს უფროს ამხანაგებთან, კომუნისტებთან, სახალხო კონტროლიორებთან მოთათბირების, მათი რჩევის შემდეგ იწყებენ, ღრმად წვდებიან წარმოების ეკონომიკას, უკეთ ასრულებენ ლენინურ ანდერძს —„არა მარტო შეეძინოთ და ვაცნობოთ, არამედ ვიმოქმედოთ კიდეც“.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ხშირად იხილავენ „კომკავშირული პროექტორის“ მიერ ჩატარებულ შემოწმებათა შედეგებს და მხარს უჭერენ უყაირათობის აღმოფხვრის, სახელმწიფოს დაცვასა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას.

ამ მხრივ კარგი გამოცდილება შეიძინა თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა... „კომკავშირული პროექტორის“ საქალაქო შტაბთან ერთად შემოწმდა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამართველოს საქმიანობა მატერიალურ-საპასუხისმგებლო თანამდებობებზე კადრების შერჩევისა და განაწილების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში ქალების ჩაბმისა და დასაქმების დავალებათა შესრულების მდგომარეობა. შემოწმებამ

△ სახელმწიფო თანხებს არ უფრთხილდებიან

△ უმიზნოდ დახარჯული ათასები

△ „კომკავშირული პროექტორი“ რეიდზე მიდის

△ გოსტნეული — წლის ყოველ დროს.

ვაამოწმებთ შესრულებას

აქტივის მზარდაჭერით

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა განიხილა „ლატვიის სს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შემოწმების შედეგები.

ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა ზემოაღნიშნული დადგენილების გამოსვლის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა კონტროლის ორგანოების სტრუქტურა, კადრების შერჩევისა და მათი სწორი განაწილების საქმე. ამაღლდა კომიტეტების, ჯგუფების მომთხოვნელობა მუშაობის დაგეგმვისადმი.

ოლქის სახალხო კონტროლის კომიტეტებში მტკიცდარეშე ინსპექტორების შერჩევა ხდება პარტიული ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე.

სახალხო კონტროლის ორგანოები კონტროლის ეფექტიანობის ამაღლების, პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების შემოწმებაში მშრომელთა მასობრივი ჩაბმის მიზნით უფართოდ იყენებენ საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და საკონტროლო საშუალებებს.

ერთობლივი შემოწმების საფუძველზე სახალხო კონტროლის კომიტეტებმა გამოავლინეს დანაკლისების, სახელმწიფო ქონების გაფლეგვა-დატაცების ბევრი ფაქტი, რომელთა საერთო თანხამ 51.683 მანეთი შეადგინა, პასუხისგებაში მიეცა 52 პირი, ათასობით მანეთი დაერიცხა 30 მუშაკს, 16 შემოწმების მასალები გადაეცა პროკურატურას და სხვ.

ამავე დროს ზოგიერთი სახალხო კონტროლის კომიტეტი, ჯგუფი და საგუშაგო ჯერ კიდევ ღრმად ვერ სწვდება მთელი რიგი სამეურნეო ორგანიზაციების ჩამორჩენის მიზეზებს.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა დაავალა პარტიულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს სისტემატურად განიხილონ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ამხილეს, იმსჯელეს

ბალის რაიონის ორგანიზაციებში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის საქმე მთლად რიგზე ვერ არის. ამას მოწმობს სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმება. მაგალითად, 1973 წლის პირველ ნახევარში ენერგეტიკული რესურსები ნორმის გადამეტებით დახარჯეს საბერიოს „განთიადის“, თიგანლონის XXV პარტყრილობის, ნობაკევის კიროვის, ჩხორთლის ბარათაშვილის სახელობის, ლუმურიშის, ფარფალის კოლეფერნიბებმა და კოხორის, წარჩის ციტრუსების, ანიგვარის, ხუმუშკურის, გალის, ზუმრ ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა ამსჯელა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უყაირათო, არარაციონალური ხარჯვის შემოწმების შედეგებზე და გალის № 1 ჩაის ფაბრიკის დირექტორი ლ. ზუხბაია, № 11 მექანიზებულ კოლონის უფროსი ტ. ცაცავა, ოტობაიას საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. არქანია გაფრთხილეს, ხოლო ოქუმის, ზემო ბარღების, ნობაკევის ჩაის ფაბრიკების დირექტორებს ბ. ჯგუბურიას, ო. ასვანოვას და გ. შალამბერიძეს გამოეცხადათ საყვედური.

მოსახლეობას — მეტი ბოსტნეული

წლეულს გარდაბნის რაიონის მხვნელ-მთესველების წინაშე უდიდესი ამოცანებია დასახული. მათ სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 67.000 ტონა მაღალხარისხოვანი ბოსტნეული. ეს ერთიორად აღემატება ხუთი წლისწინანდელ დავალებას.

რაიონის 18 საბჭოთა მეურნეობა მისდევს მრეწველობის, მიუხედავად სიძნელეებისა. რომლებიც არახელსაყრელმა ამინდმა შექმნა. ამჟამად რაიონის საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად შემოვიდა ფარორო ასორტიმენტის ბოსტნეული, მათ შორის პამიდორი, ჭარხალი, ბადრიჯანი, მწვანილი. არის იმის შესაძლებლობა, რომ მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ ქალაქის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ბოსტნეულის წარმოების გადიდებასა და მომხმარებლებისათვის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიწოდებას. ამ მიზნით ყველა ჯგუფში შექმნილია პროდუქციის ხარისხის კონტროლის სექტორები. ყოველ კვარტალში იწყობა მაოთვის სპეციალური თათბირები, ვუწევთ კონსულტაციებს.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან ვრწანისის, გარდაბნის მებოსტნეობის, ნაზარლოს მეთესლეობის, სარეიპალის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფები.



თანამედროვე მოთხოვნებს არ შეეხამება საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობა, განსაკუთრებით სოფლად. ჭეროვანი წესრიგი არ არის დამყარებული საცხოვრებელი სახლების, ბინებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთების, ინდივიდუალური კერვისა და მთელ რიგ სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა მომსახურების ორგანიზაციაში. რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს და მომხვეჭელურ და მომხმარებლურ სულისკვეთებას წარმოშობს საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მუშაკთა ნაწილში. (გაზეთებიდან).

— დაგეძებ და ვერ გპოულობ!..

ბ. ლომიძის ნახატი.

გამოცდილება

რეცა საქმე გულთან მიაქვთ

კომუნისტთა აქტიური პოზიცია კონტროლის ქმედითობის საწინდარია

„ლატვიის სს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში გაანალიზებულია ამ მასობრივი ორგანიზაციის უდიდესი როლი ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურ განვითარებაში, მისი ღამჩაზმველი ძალა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

დადგენილების სახელმძღვანელო მითითებათა შესაბამისად წარმართავენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული კომიტეტი, მისი პირველადი პარტიული ორგანიზაციები სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმეთაწყობაში.

საწარმოში ამჟამად მოქმედებს 21 ჯგუფი და 30 საგუშაგო, რომლებშიც გაერთიანებულია სანიმუშო დისციპლინის მქონე, შრომის წარჩინებული 430 მეტალურგი. ეს დიდი ძალაა. მათ უნარი შეუწევთ ღრმად ჩასწვდნენ საწარმოო საკითხებს, დღის სინათლეზე გამოიტანონ უყაირათობის, საწარმოო და შრომის დისციპლინის დარღვევის თითოეული ფაქტი.

როგორ წარემართავთო, რა ასპექტით ვუდგებით ამ მრავალმხრივ მუშაობას? უწინარეს ყოველისა, სახალხო კონტროლიორები პარტიის საიმედო თანამეშეკედად მიგვაჩნია და ამიტომ მთავარ ყურადღებას ვუთმობთ ჯგუფების, საგუშაგოების დაკომპლექტებას, მათს ხელმძღვანელებად პრინციპული, საქმის მცოდნე და ფხიზელი თვალის მქონე ადამიანების შერჩევას, მათთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად ვაწყობთ პარტიული ორგანიზაციების მდივნების, ჯგუფების, საგუშაგოების კომკავშირული „პროექტორის“ ხელმძღვანელთა ერთობლივ სემინარებს.

პარტიული ხელმძღვანელობის ასეთი მეთოდით უზრუნველყავით საამქროთა და საწყოფილებათა პარტიული ორგანიზაციების გამიზნული მუშაობა საკადროობისა და შემოწმების ეფექტიანობისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავი არიან № 1, № 4 საამქროებს, ცენტრალური ლაბორატორიის, აკუმეთის კერქვის ქარიერების პარტიული ორგანიზაციები.

ამას წინათ პარტიული კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა საწარმოო პარტიული, სამეურნეო და სახალხო კონტროლის აქტივი, მოვისმინეთ კონტროლიორის, ახალგაზრდა კომუნისტის საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატის უ. ნიორაძის ანგარიში. მისი საუბარი მდიდარი იყო კონკრეტული, ყურადსაღები ფაქტებითა და მაგალითებით. მან გარდა იმისა, რომ სხდომას გააცნო გამოვლენილი დარღვევები და ნაკლოვანებანი, საქმიანად, კონკრეტულად ილაპარაკა მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებისათვის მიღებულ ღონისძიებებზე.

სერიოზულად ვიმსჯელეთ ქარხნის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარის ბ. ნებიერიძის ანგარიშის გამო. მან გააანალიზა ყველა ჯგუფისა და საგუშაგოს ხაქმიანობა, აღნიშნა მათი წვლილი შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში, ნედლეულის, დამხმარე მასალების მომჭირნეობით ხარჯვაში. ამის შესახებ კი მართლაც ღირს ლაპარაკი. ზესტაფონელმა მეტალურგებმა წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათასობით ტონა ლითონი, დაზოგეს 16,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

სახალხო კონტროლიორების ქმედითობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ წესრიგი დამყარდა გრანულირებული წიდის მომხმარებლებისათვის მიწოდების, მათთან ანგარიშსწორების საქმეში. სარემონტო-მექანიკური საამქროს საჩამოს საჩამომსხმელო უბანზე მოწესრიგდა ბერეზის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული ბევრი მტკივნეული საკითხი.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მკაცრად იმსჯელა ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხზე, გამოვლენილი სერიოზული ნაკლოვანებებისათვის მკაცრად დაისაჯნენ ქარხნის მაშინდელი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახული პროგრამის განხორციელება სისტემატურად საქმედ გაიხადეს სახალხო კონტროლიორებმა და საქმეც ადგილიდან დაიძრა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშათა კვების ობიექტების საქმიანობა. წესრიგი დამყარდა ბანაკონ-გასახდელების მუშაობაში, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის განხორციელდა ტექნიკური ღონისძიებანი და ლუმელებზე დაიდგა გაზმზომელ-დამწერი მოწყობილობანი.

სახალხო კონტროლის ჯგუფების მიერ დაწესებული მკაცრი კონტროლის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სათბობის, ნედლეული მასალების ხარჯვა, ამაღლდა პროდუქციის ხარისხი, დაჩქარდა ვაგონების ბრუნვა, წარმატებით მიმდინარეობს სპროექტო სიმძლავრეების ათვისება. ყველა ამ საკითხებზე ჯგუფს რეგულარულად შემოაქვს საკითხები პარტიული კომიტეტის სხდომებზე განსახილველად.

სახალხო კონტროლიორთა მუშაობის საჯაროობის, მათი გამოცდილების გავრცელების მიზნით ფართოდ ვიყენებთ თვალსაჩინოების სხვადასხვა ფორმას. მრავალტრაიალ გაზეთ „ფეროშენადნობელში“ შემოღებული გვაქვს სპეციალური გვერდი „სახალხო კონტროლი მოქმედებს“, ეკუთვნით სატირულ-იუმორისტულ ფურცლებს — „ელვას“, „სიგნალს“, „ვანგარეს“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახალხო კონტროლიორთა საწარმოს კომენტარებს მეტად პასუხსაგებ საქმედ, საპატიო მოვალეობად მიაჩნიათ. აქტიური, პრინციპული და ნაყოფიერი მუშაობისათვის ქმებას იმსახურებენ ქარხნის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე ა. ნებიერიძე, № 4 საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი, სსრ ალაშრის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. ფერაძე, № 1 საამქროს ფდნობელთა ბრიგადირი ტ. გეგეშიძე, მეტალურგი ნ. ცხოვრებაძე, ელექტროზეინკალი ი. ქუჩიშვილი და სხვ.

სახალხო კონტროლისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის გარკვეული მუშაობაა გაწეული. მაგრამ კომუნისტებს ყოველთვის მიღწეულთან დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გვაქვს. ბუნებრივია, თვითკმაყოფილებას ვერ მივეკუთვნით, გასაკეთებელი კვლავ ბევრია და, ვიმედოვნებთ, რომ მეტალურგი კონტროლიორები ყველაფერს იღონებენ ხუთწლეულის ოსასრულამდე ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, ღირსეულად ატარებენ პარტიის ერთგული თანამშრომლის სპატიო სახელს.

თ. კაკოჩაშვილი,
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

საკვლევი იტყობინება

თანამედროვეობის ღრმა ანალიზი

ვარშავა, 18 სექტემბერი (საკვლევი). თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ძირითადი პრობლემების ღრმა ანალიზს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების შემოქმედებითს განვითარებას შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ახალი წიგნი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ", წერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ".

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი, რომელშიც შეტანილია საბჭოთა ხელმძღვანელის 1964-1978 წლების პერიოდის სიტყვები და სტატიები, — ეს ამ ბოლო 14 წლის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ისტორიაც არის და ფილოსოფიაც. მასში გასსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გაგლენას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესზე.

წიგნის მასალები, განაგრძობს გაზეთი, მოწმობენ, თუ როგორ მუშავდება გამოცდილების ერთობლივი შეძენის პროცესში ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების მეცნიეოული საფუძვლები, როგორ მოწმდება პრაქტიკულად ამ პროცესის რთული პრობლემების ვადაჭრის მთავარი მიმართულებები. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების იდეური ერთიანობის განმტკიცების, მათი ინტეგრაციული პროცესების დაჩქარების, სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ყოველმხრივ დაახლოების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ მათი მარქსისტულ-ლენინური პარტიები.

„ტრიბუნა ლუდუ" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციალისტური ქვეყნების საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების და საერთაშორისო ასპარეზზე მათი ერთობლივი გამოსვლების სტრატეგიის კოორდინაციის სხვადასხვა ფორმების შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს უქვე ტრადიციად დამკვიდრებულ ყირიმის შეხვედრებს. ეს მკაფიოდ დადასტურდა ამ ზაფხულში, როცა ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს.

წიგნის მასალები ყოველმხრივ აშუქებენ საბჭოთა კავშირის შეუპოვარ ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, კელსინკის უშიშროებისა და თანამშრომლობის შენელებასთან ერთად სამხედრო დაძაბულობის განმუხტვის მიღწევისათვის.

ამ პროცესის ჩამოყალიბებაზე, აღნიშნავს გაზეთი, უდიდეს გავლენას ახდენს ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა, მისი ხშირი შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის წამყვან პოლიტიკურ მოღვაწეებთან. არც ერთ ისტორიულ პერიოდს არ ახსოვს ამქვეყნი უმაღლესი დონის შეხვედრა, რამდენიც უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე მოეწყო.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები და სტატიები, რომლებიც შეკრებილია წიგნში „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ", წერს დასასრულ „ტრიბუნა ლუდუ", ყოველმხრივ ასახავენ ამ თანამედროვულ, შეუპოვარ ბრძოლას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწევა თანამედროვე სამყაროში დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის შემდგომი განვითარებისა და მისი საფუძვლების განმტკიცებისათვის, ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნისათვის.

ნაყოფიერი შეხვედრები

სან-ფრანცისკო, (საკვლის კორ.). ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს მოწვევით ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუმრად არის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის დელეგაცია, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სან-ფრანცისკოს, ვაშინგტონის, სანდიეგოს, ლოს-ანჟელესის და პორტლენდის საზოგადოებებმა მოაწყვეს ორდღიანი სემინარი, რომლის დროს ხელი მოაწერეს მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირისა და ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თანამშრომლობის შესახებ ორწლიან ხელშეკრულებას. საბჭოთა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ამერიკულ-რუსულ ინსტიტუტში გამართულ სიმპოზიუმის მუშაობაში თემაზე: „საბჭოთა კავშირი თანამედროვე სამყაროში".

პორტუგალიელ კომუნისტთა პოზიცია

ლისაბონი, 18 სექტემბერი. (საკვლეა). „მშრომელთა, პორტუგალელ კომუნისტთა, ქვეყნის ყველა დემოკრატთა მონაწილეობის მიუღებლად პორტუგალიაში შეუძლებელია სტაბილური დემოკრატიული მთავრობის შექმნა", — განაცხადა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრმა ოტავიუ პატუმ. ქალაქ ოდემირაში გამართულ „ბასობრივ მიტინგზე მან ჩამოაყალიბა კომპარტიის პოზიცია ქვეყნის მთავრობის მწვავე და ხანგრძლივი კრიზისის დაძლევასთან დაკავშირებით. ო. პატუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცხოველუნარიანი მთავრობის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ პორტუგალიის კონსტიტუციის განხორციელი დაცვის, მშრომელთა რეკოლუციური მონაპოვრების შენარჩუნების პირობებში. ეს უნდა მოხდეს. პორტუგალიის კომპარტიის მონაწილეობით და არა მისი იზოლაციის პირობებში.

დღეს პორტუგალიის პრეზიდენტი ა. რამალიუ ეანეში განაახლებს კონსტიტუციებს პოლიტიკურ პარტიებთან.

ნიკარაგუა ცეცხლშია

სან-ხოსე. ნიკარაგუაში გრძელდება დიქტატორ სომოსას ეროვნული გვარდიისა და აჯანყებული ხალხის გაჟფორებული შეტაკებანი. პენიას-ბლანკასის რაიონში, კოსტა-რიკის საზღვრის მახლობლად, სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პატროლებმა გაანადგურეს დამსჯელთა დიდი გარნიზონი და ხელი იგდეს დიდძალი იარაღი, მათ შორის ტყვიამფრქვევები და ტანკი. აჯანყებულთა საბრძოლო ოპერაციები წარმატებით ვითარდება ქალაქ რივასში, სადაც ისინი დაეუფლნენ ეროვნული გვარდიის შტაბს. ჩამოშალდეს ორი სამხედრო თვითმფრინავი.

როგორც უეცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, სომოსას ავარიის რიგებში შეიმჩნევა მასობრივი დეზერტირობა. საფრანგეთის გაზეთ „მონდის" მანაგუელი კორესპონდენტის მონაცემებით, 1 არმიიდან გაქცეული ჯარისკაცებია და ოფიცრების რიცხვი 500-700-ის ფარგლებში მერყეობს.

სომოსას ეხმარებიან უცხოეთის დაქირავებულთა ახალ-ახალი რაზმები, რომლებიც ფიზლეი ამერიკული იარაღით არიან აღჭურვილი და რომლებსაც ხელმძღვანელობენ ამერიკელი ინსტრუქტორები. დამსჯელები დღედაღამ უშენენ ქალაქებსა და სოფლებს არტილერიისა და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების ცეცხლს. თავით ფეხამდე შეიარაღებულ სომოსას არმიას ებრძვის მოსახლეობა, რომელიც ხშირად სანადირო თოფებითა და პისტოლეტებით არიან აღჭურვილი. თვითონ პატრიზანებსაც აკლიათ იარაღი და ტყვიაწამალი. როგორც გაზეთი „მატინი" წერს, აჯანყებულები სურსათის მწვავე ნაკლებობას განიცდიან.

მრავალ დღის სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ სომოსას ჯარებმა შესძლეს ხელი ეგდოთ ქალაქები ჩინანდეგუ და ლეონი, ისინი ნანგრევებად აქციეს. ნანგრევებში მოჰყავა ასობით ქალი, ბავშვი და მოხუცი. „ქალაქი ლეონი მიწასთან არის გასწორებული, — წერს მექსიკური „უნომას უნო".

როგორც ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების პოლიტიკური მეთვალყურენი აღნიშნავენ, ნიკარაგუას ელის ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევის საფრთხე. ვაშინგტონში, წერს ინგლისური „დეილი ექსპრესი", შიშობენ, რომ ნიკარაგუაში შეიჭრება ის მოხდეს, რაც მოხდა 1959 წელ კუბაში, როცა აჯანყებულმა ხალხმა დაამხო დიქტატორ ბატისტას საძულველი რეჟიმი.

სომოსა, წერს „დეილი ექსპრესი". „ტირანია, რომელსაც ამერიკა არამდგრადობას არ შეეწევა". (საკვლეა).

კვლავ პროვოკაციას...

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა. ამას წინათ სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ასობით სამხედრო მოსამსახურემ დაარღვია ვიეტნამის საზღვარი პიუნგის საკონტროლო-გასაშვები პუნქტის რაიონში და თავს დაესხა ვიეტნამელ მესაზღვრეებსა და მოსამსახურეებს. დატრიალდა ღანები, კეტები და ფოლადის წნელები. ამ პროვოკაციის შედეგად ორი ვიეტნამელი მოკლეს და 25 დაჭრეს, მათ შორის შვიდი მძიმედ დაშავდა. სურათზე: პროვოკაციის მსხვერპლი.

ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო-საკვლის ფოტო.

გარიგება ხალხთა ზურგს უკან

კემპ-დევიდის სამმხრივი შეხვედრა, რომელიც 13 დღეს გრძელდებოდა, დამთავრდა. მისმა მონაწილეებმა — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მ. ბეგინმა და ეგვიპტის პრეზიდენტმა ა. სადათმა ხელი მოაწერეს ორ დოკუმენტს: „ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის ფარგლები" და „ეგვიპტე-ისრაელის ხაზავო ხელშეკრულების დადების ფარგლები".

ამ დოკუმენტების შინაარსი მაყფიოდ მოწმობს, რომ კემპ-დევიდში გვერდი აუარეს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგების იმ საკვანძო პრობლემებს, რომელთა გამოც გრძელდება კონფლიქტი. ობიექტურად ეს ორი დოკუმენტი უპირისპირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს, თუმცა ისინი ფორმალურად ამოწმიბენ ამ დოკუმენტებს.

„ეგვიპტე-ისრაელის ხაზავი ხელშეკრულების დადების ფარგლები" — ეს არის ამკარა დიქტატი სადათისადმი სამი თვის მანძილზე „დადოს სეპარატული გარიგება ტელ-ავივის პირობების შესაბამისად. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ისრაელი „ცნობს" ეგვიპტის მხოლოდ შეზღუდულ სუვერენიტეტს სინაიზე. ნახევარკუნძულზე მოლაპარაკების შედეგად გაირკვა ისრაელის „უშიშროების ზონები" და ეგვიპტის არმიის „შეიარაღებისა და ძალების შეზღუდვის ზონები". ისრაელი სინაიდან თავისი ჯარების გაყვანას დაიწყებს მხოლოდ 3-9 თვეში ხაზავი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და დაამთავრებს მათს გაყვანას 2-3 წელიწადში. საკულისხმოა, რომ სადათი დათანხმდა ამ პირობებს, მიუხედავად იმისა, რომ როგორც კვლავ ხაზგასმით აღნიშნა ბეგინმა შეხვედრის დამთავრებისას, „ისრაელი არ დათანხმდა დაეკმაყოფილებინა სადათის მოთხოვნები სინაის ნახევარკუნძულზე ისრაელის დასახლებათა ლიკვიდაციის შესახებ". „ეტყობა, სადათმა უფრო მეტი რამ დათმო, ვიდრე ბეგინმა და, ამრიგად, მეტი რისკიც იკისრა", ასკვნის ფრანს პრესის საგენტო.

რაც შეეხება „ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის ფარგლებს", იგი მოწმობს; რომ სადათმა აშკარად თქვა უარი არაბთა მოთხოვნებზე, უფალატა პალესტინის არაბი ხალხის საქმეს და ფარ-ხმალი დაყარა ტელ-ავივისა და ვაშინგტონის მოთხოვნების წინაშე. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის" მიმომხილველი ბრედფორი აღნიშნავს, ისრაელმა უარი თქვა დათანხმებოდა მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირისა და ღაზის სექტორისათვის სუვერენიტეტის მინიჭებას, რითაც ჩაეშალა ცალკეული პალესტინის სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობა".

სადათი დათანხმდა ისრაელის სამხედრო ყოფნას იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში, ფაქტიურად დაამტკიცა 26-პუნქტიანი გეგმა, რომელიც ბეგინმა ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ წარუდგინა მას განსახილველად ისმაილიაში შეხვედრისას და, რომელიც მაშინ სადათმავე უარყო, როგორც ანექსიონისტური. დოკუმენტი შეიცავს ბუნდოვან დაპირებებს იმის შესახებ, რომ ფაქტიური ისრაელი ოკუპაციის პირობებში ხუთი წლის „გარდამავალი" პერიოდის შემდეგ მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პალესტინელს ჰიეცემათ რაღაც შეკვეცილი „ავტონომია". სადათის თანხმობა „ამ გეგმაზე" აშკარად ეწინააღმდეგება პალესტინის არაბი ხალხების მოთხოვნებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის შესახებ. დოკუმენტში კრინტიც კი არ არის დაძრული პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაზე, რომელიც სრულიად არაბთა უმაღლესი დონის თათბირმა პალესტინელთა ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად ცნო.

კემპ-დევიდის შეთქმულების მონაწილეი ცდილობენ იორდანის დასავლეთი ნაპირისა და ღაზის სექტორის მომავალი სტატუსის შესახებ მოლაპარაკებები ჩაბნევ აპრეთვე იორდანია და „ზომიერი პალესტინელები". მაგალითად, ბეგინმა ისრაელის რადიოთი გამოსვლისას იმედი გამოთქვა, რომ „ჰუსეინ მეფე თავის როლს შეასრულებს მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის მომავლის განსაზღვრაში". „მაგრამ, დასძინა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, — ცხადი უნდა იყოს, რომ ისრაელის არმია დარჩება იუდეაში და სამარიაში (ასე უწოდებენ ისრაელი ექსტრემისტები დასავლეთ ნაპირს), ივიეი ღაზის რაიონში, და არავითარი სხვა არმია იქ არ იქნება".

ბურჟუაზიული პროპაგანდა თეორი სახლის ლოცვა-კურთხევით ბევრს იტაცებდა, რომ კემპ-დევიდის შეხვედრა წარმოესახა „ყოველსმომცველი მოწესრიგების" შემუშავების სერიოზულ ცდად, მაგრამ ამაოდ დაშვრა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. კემპ-დევიდში მსოფლიო საზოგადოებრიობისაგან ეჩუმრად, არაბი ხალხების ზურგს უკან მიმდინარეობდა სეპარატული ვაჭრობა. რომლის მონაწილეებსაც მხოლოდ თავიანთი ანგარებითი ინტერესების გარდა სხვა არაფერი ანაღვლებდათ. ამას მოწმობს ბურჟუაზიული პრესის ნაიძულევი აღიარებაც. შეხვედრის დამთავრების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ერთ-ერთმა კორესპონდენტმა სრულიად სამართლიანად თქვა, რომ შეხვედრის შედეგები „ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული ხაზავი შეთანხმების მხოლოდ კოსმეტიკური ნიღაბია".

კემპ-დევიდის შეხვედრა, წერს დღეს „ნიუ-იორკ ტაიმს პრეს სერვისი", „დამთავრდა სასოწარკვეთილი ძიებით თავიდან აცილებინათ მარცხი სერიოზულ უთანხმოებათა დაძლევაში". „13 დღის მოლაპარაკების შემდეგ, — ასკვნის ასოშიეიტედ პრესის საგენტო,—ორმოცი საკითხი, მათ შორის ისეთები, როგორიცაა დასავლეთი ნაპირისა და ღაზის სექტორის, აკრეთვე სინაის ისრაელ დასახლებათა ბედი. მაინც გადაუწყვეტელი დარჩა".

კემპ-დევიდის საბოლოო დოკუმენტებს ეტყობა, რომ მხარეებმა სცადეს მიეჩქმალათ ეს უთანხმოებანი. ეხადია, რომ გარიგებას მიაღწიე სადათის ხარჯზე, რაც კიდევ უფრო მეტად აშკარავებს ეგვიპტის ხელმძღვანელობის კაპიტულანტურ კურსს. როგორც ამერიკის რადიომაუწყებლობის კორპორაცია „ეი-ბი-სი" იუწყება, ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის ქამელისა და ზოგიერთი სხვა ოფიციალური პირის გადადგომამ ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა. ქამელი არ დასწრებია დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონიას. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ოკუპირებულ იერუსალიმში სადათის გამგზავრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი ფაჰმიც გადადგა გასული წლის ნოემბერში და იგი ქამელმა შეცვალა.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების ცდებს, რომ როგორმე გაიფართოოს თავისი სამხედრო ყოფნა ახლო აღმოსავლეთში, ვაშინგტონი მათ ნიღბავს ფორმულირებებით რაღაც „საერთაშორისო ძალების" გამოყენების შესახებ, რომლებიც ისრაელის „უშიშროებას" უზრუნველყოფენ. ამავე დროს კრინტიც არ არის დაძრული ისრაელის იგრესიის მსხვერპლთა უშიშროების გარანტიებზე.

ვის აძლევს ხელს?

რეპორტაჟი და ფიალსვლარი ერთი „მისიის" მისიის ბაზლის შესახებ

ლ. ლეონოვი

„სლავური მისიის" შეფი ხელებს ისრესს — სსრ კავშირში ბაპტისტები გაითიმნენ, და საამკარაზე გამოვიდნენ ეგრეთწოდებული „ინიციატორები", გამთიშველები. ამ გამთიშველებს, როგორც მარტინსონს ახსოვს, თავის დროზე პროკოფიეველებს უწოდებდნენ. მაგრამ ახლა, „მისიის" შეფს არ სურს ამის გახსენება. ოდესღაც მსაც, მარტინსონ, ამ აზეას — ბატონ პროკოფიევის, გამთიშველთა იდეოლოგის იმედი ჰქონდა. ეგონა, რომ შეამბოხე ალექსი პროკოფიევი საიმედო მოკავშირე აღმოჩნდებოდა კომუნიზმისა და კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. სამჯერ დაატაკიმრეს იგი ანტიალბეგიური აგიტაციისა და პროპაგანდისათვის — „სლავური მისიის" შეფის თვალსაზრისით, ეს უმაღლესი შეფსავითა. ხუთი პლუსით! დასავლეთის პრესა იტაკვდოდა მისი „მამაცობისა და სიმტკიცის" შესახებ სხვადასხვა მონაჩმახის შეთხზვისათვის. საშუალო განათლების მქონე კაცს „უდიდეს ინტელექტუალად" აცხადებდნენ, თვითონ კი ალეკსეევიჩოდა მორწმუნეებს და მოკრძალებით ამბობდა: „წმინდანთაგან უმცროსი ვარო". და აი, უეცრად მეხი გავარდა: პროკოფიევი. მოკკვეთეს ეკლესიას, მან შესცოდა და იმრუშა. თითქოსდა, ბუნებრივი იქნებოდა, რომ სენსაციას დახარბებული ბურჟუაზიული პრესა, ოადიო სასწრაფოდ გაავრცელებენენ ამ ამბავს: რუსეთში „ერისტესმიერი ძმების" წინამძღოლი ეკლესიას მოკკვეთეს მრუშობისთვისო. ავხორცი აღმოჩნდა. მიატოვა ცოლი, ანდაი ითოვა, ეხეკ მიატოვა და ანალვაზრდა საყვარელი გაიჩინა. მაგრამ ამ ამბის გაპრ ბურჟუაზიულ პრესას კრინტიც კი არ დაუძრავს. არ მოიხუვნეს ეჩვენებინათ „რწმენისათვის მამაც მებრძოლთა" ტემმარიტი სახეები.

მაგრამ ეს უკვე ისტორიაა. მარტინსონ არ სურს მისი ფურცლების ფუტკნა. მაგრამ დღეს? როგორი ინტუიცია იქმნება დღეს? მან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ იცოდეს, რომ დღეს მორწმუნეთა დიდი უმრავლესობა, კულტის მრავალი მსახური იწონებს საბჭოთა ხელისწყობა პოლიტიკას, ასრულებს კანონის მოთხოვნებს. მაგრამ სამაგიეროდ უხარია, როცა კითხულობს და ისმენს თავისი ემისრების პატაკებს: საბჭოთა კავშირსა ჯერ კიდევ განგრძობს აქტიურ მოქმედებას ოფიციალური ევანგელისტი ბაპტისტა ქრისტიანების სრულიად საკავშირო საბჭოს გაფორმებული მოწინააღმდეგეების ჯგუფი, რომელიც, თითქოსდა, მეაყიდა კომუნისტებს და ყოველნაირად უმტრს მხარს საბჭოთა ხელისუფლების მხრივ ეკლესიის საქმიანობის ნებისმიერ შეზღუდვას. მას, მარტინსონს, ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ გათიშვის საფუძვლად უდევს არა რწმენის სხვადასხვაგვარი გაგება, არამედ ბრძოლა ძალაუფლებისათვის სექტაში. ვინ-ვინ, და მან კი იცის; რომ გათიშვის მიღმა იმალება ბაპტისტური ეკლესიის კრიზისი: კნინდება რწმენა, და ბევრ ბაპტისტს გულმა „მიწიერი ცხოვრებისაკენ" გაუწია. ჰოდა, ცდილობენ დაძლიონ ეს კრიზისი იმ მოწოდებებით, რომ კიდევ უფრო კარჩაკეტილები გახდნენ, ყოველგვარი კავშირი გაწყვიტონ „ამქვეყნიერთან", იმ მოთხოვნებით, რომ ომი გამოუცხადონ „საერო" ხელისუფალთ და მათს კანონებს, მიაღწიონ თემთა მოქმედების თავისუფლებას, რომელსაც არავინ არ გაუწევს კონტროლს („რასაც გვინდა, იმას ვშვრებით, სადაც გვინდა, იქ ვლოცულობთ"), იმ მოთხოვნებით, რომ არავინ არაფრით არ შეზღუდოს რელიგიური პროპაგანდის თავისუფლება. ზოგი ფანატიკოსი უფრო შორსაც წავიდა: მოითხოვა, რომ აკრძალონ ათეისტური პროპაგანდა სკოლებში...

ჟურნალ „ვესტნიკ სპასენიაში" („ხსნის მაცნე"), რომელიც საიდუმლოდ ვრცელდება, გამთიშველთა მესვეურები ცინიკურად და გულახდილად უქადაგებდნენ თავიანთ მომხრეებს: „კაცი, რომელსაც სურს ღვთისნიერად იცხოვროს, ყოველივე ამქვეყნიურის წინააღმდეგობას გადაეყრება... და, რაც ყველაზე უფრო გასაოცარია, არცთუ იშვიათად ეს ხდება მორწმუნეთა უმრავლესობის შეხედულებებისა და ჩვეულებების საწინააღმდეგოდ... დიდი გამბედაობა და სიმტკიცეა საჭირო, რათა ყოველთვის ასრულებდე იმ მოვალეობებს, რომლებიც საიდუმლოდ სრულდება".

უფრო მეტადაც ვერ იტყვი: საიდუმლოდ ვაწარმოოთ ომი „საერო ხელისუფლებთან" (საბჭოთა ხალხის ხელისუფლებთან). მე წამიკითხავს ეს მოწოდებანი „ეკლესიათა საბჭოს" ძიერ სადღაც დაბეჭდილ და არაოფიციალურად გამოცემულ „ძმათა ფურცლებში". ამ საბჭოს მესვეურებს ყველაზე მეტად ბავშვების, ახალგაზრდების პრობლემა აღელვებთ. აქ ისინი განსაკუთრებულ აქტიურობას მოიჩხოვენ. სიტყვიდან — საქმეზე! თუ ომია, ვეომოთ „საერო ხელისუფლებს". კიდევ კარგი, ამ ომში გარანტირებულია ყველაზე აქტიური მხარდაჭერა დასავლეთისა, სხვადასხვა ჯურის გარეშეწრფისა — იმათიც, ვინც ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს, და იმათიც, ვინც უღალატა სამშობლოს და ანტისაბჭოურ ცენტრებში მის ფარგლებს გარეთ მოიკალთა.

გაზეთიდან იქნებოდა, გვეთქვა, თითქოს გამთიშველ ექსტრემისტებს მორწმუნეთა მასები უჭერენ მხარს. მათ დაკარგეს ბევრი მომხრე, რომლებიც მისდნენ, რომ „ეკლესიათა საბჭოს" მესვეურთა „ურსი კარიერისტების, ავანტიურისტების ეურსია, რომლებიც იბრძვიან ხელისუფლებისათვის, პირადი განცხრომისათვის, რომ ეს „ურსი უპერსპექტივოა და გათვალისწინებულია გონებაშეზღუდული, რაღაცით განაწყენებული ადამიანებისათვის. მით უფრო მეტი ენერგიით, ისე, რომ არაავითარ საშუალებას არ თაკილობენ, „ეკლესიათა საბჭოს" მესვეურები ცდილობენ ხალხეოის თავიანთი მოძრაობა წარმოუდგინონ როგორც საბჭოთა ხელისუფლებისადმი „დიდი ოპოზიცია": რაც უფრო „მეტია" ოპოზიცია, მით უფრო მეტს ნიშნავს. ბატონო მარტინსონი აწყობს პრესკონფერენციებს, იძულებს ინტერვიუებს ანტისაბჭოური სტატიები აკაცებს თავის გაზეთს „სვეტ ნა ვოსტოკეე" („სინათლე აღმოსავლეთში") და ყოველნაირად იჭაჭვება, რომ რაც შეიძლება მეტი „შეშა" შეუკეთოს თავისი ძმის, მეგობრისა და თანამოსაგრის „პასტორ" მაიკლ ბორდოს, ლონდონში შექმნილი სპეციალური „რელიგიისა და კომუნიზმის შემსწავლელი ცენტრის" ხელმძღვანელის ანტისაბჭოურ საცეცხლეში („სლავური მისია" ამ ცენტრთან მჭიდრო კონტაქტით მოქმედებს, — იტყვის მოგვიანებით სარელდი.). ოდესღაც პასტორი ხტაკერიებს გადიოდა მოსკოვის უნივერსიტეტში, და ანალიკანურ ეკლესიაში ცნობილია როგორც დიდი სოვეტოლოგი. იგი, რადიოსადგურების ბი-ბი-სის და „თავისუფლების" რელიგიური მიმომხილველი გამთიშველებს „თავისუფლებისათვის" „გაბედულ მებრძოლებად", „XX საუკუნის მოციქულებად" აცხადებს. „ისინი ეწამებიან, მაგრამ არაფერს დაუთმობენ საერო ხელისუფლებას". წიგნის თაობაზე გაჩნდა მაიკლ ბორდოს „გამოკვლევა" „რელიგიური მოძრაობა სსრ კავშირში. პროტესტანტული ოპოზიცია საბჭოთა რელიგიური პოლიტიკისადმი". ოფიციალურად რეგისტრირებული ევანგელისტი ბაპტისტ ქრისტიანების სრულიად საკავშირო საბჭოს ხელმძღვანელები არიან ადამიანები, რომლებიც უთმობენ ხელისუფლებას, უკან იხევენ თავიანთი რწმენის პრინციპებიდან". მარტინსონებისა და ბორდოების მეგადინეობით დასავლეთის პრესა აგრეთვე ლებულია შლაგერებით: „ოპოზიცია საბჭოთა ხელისუფლებისადმი მორწმუნეთა შორის", „ბაპტისტთა პოლიტიკური გამოსვლა საბჭოთა კავშირში". და აი, სხვადასხვა საიდუმლო არხით დასავლეთში და ოკეანის გაღმა მიდის პატაკები „მოძრაობის გაქანების", „რწმენისათვის დევნის" შესახებ, გულისამაჩუყებელი წერილების ფოტოპირები, პეტიციები დახმარების შესახებ.

შიშით მოუვიდა...

ახლა, მგონი, დროა უფრო ახლოს გაგეცნოთ ამ პატაკებს, იმას, რასაც შეიცავს „ფორდ-კონსულის" მანქანის სამალავი, დოკუმენტების, რომლებიც იდეოლოგიური დივერსანტების ბუნაგში უნდა მოხვედრილიყო. ისინი შეგვიალია ორ კატეგორიად დავყოთ: უხეში ცილისწამება, ურცხვი ფალსიფიკაცია და ეშმაკურად გაზვიადებული, ტენდენციურად წარმოდგენილი ფაქტები, რომლებიც ამახინჯებს საბჭოთა კავშირის „კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის არსს.

ქაღალდები გათვალისწინებულია ბატონების მარტინსონისა და მაიკლ ბორდოსათვის, შესაბამისი რაციების მიერ შესაბამისი ქადაგებების და მყრალი სტატიების მოსამზადებლად, მარტინსონის ბეგუთის „სვეტ ნა ვოსტოკეესათვის" — მას ხალისით გადაბეჭდავენ ხოლმე „ალეკეი" და სხვა ანტისაბჭოური გამოცემები.

გულისამრევია ამ ქაღალდების ციტირება. და მაინც მრავალთაგან ერთ-ერთს მოვიყვანდი: „სანარცხვინო მიშისაგან გამოფხიზლებული მეცნიერნი თუ არამეცნიერნი აღვიძებენ დაბინებულ რუსეთს, და ჩვენ ვხარობთ ისეთი ადამიანებით, როგორიც არიან სოლჟენიცინი, სახაროვი, გინზბურგი, ორლოვი, ტურჩინი, ბონერი და მრავალი სხვა".

ჰოდა, რამდენიც უნდათ, იმდენი ეხარონ, მაგრამ ოკეანის სიბადიან საქმეებს, ხახს ვუსვავ, საქმეებს, რომლებისთვისაც კანონი ხაპატიმროში ჩასმას მოითხოვს? იმიტომ ხომ არა, რომ დაეხმარონ ბატონ მარტინსონებსა და ბორდოებს ევროპაში, ოკეანისგაღმელ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეებს ძათს ანტიკომუნისტურ პროპაგანდიმი?

მთელმა ამ სისაძაგლემ — ცილისმწამებლურმა წერილებმა, მიმართვებმა დღეს თავისი ადგილი დაიკავა იქ, სადაც შეგრეოილია უდავო ნივთიერი მტკიცებულებანი. მე დიდხანს ვათვალიერებდი მათ—იასაც, გამოძიებლის კაბადი ოდ არის, და იმასაც, ეზოში რომ არის: ლურჯად მოლივლივე „ფორდ-კონსულ-2000"-ს და ნაპოვნ სამალავი, რომელიც ახლა საუცხოოდ ჩანს. ზიზღით ვფურცლავდი სამაგალ „ძმათა ფურცლებს" და „ექტოგრაფზე დაბეჭდილ „ტუსაღთა ნათესავების საბჭოს" ბიულეტენებს. ერთი მათგანი მთლიანად ეძღვნებოდა ვინსს, მეორე — ეკლესიის უფრო მოკრძალებულ მოღვაწეს კრასნილუჩელ მოფერ ვ. ხაიოს. თავის დროზე იგი გაასამართლეს სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის. ახლა მან თავისივე შვილების „სულების დატაცებას" მიაყო ხელი. მამა უკრძალავდა მათ საზოგადოებრივ მუშაობას, განაწყობდა მასწავლებლებსა და კოშკავშირის წინააღმდეგ. გაასამართლეს იგი აგრეთვე ველური ურჯულობისათვის — როცა გამოაცხადა, ერთხელ წყალობა მეღირსა „ცოდნ ჩამოსული ანგელოზი" ვიხილეო. მოფერმა ანგარებითი მიზნით დაიწყო „ავადმყოფთაგან უწმინდურის განდევნა"...

„ძმათა ფურცლების" გვერდით არის „ძმური სალამი ამერიკის შეერთებული შტატებიდან": იქ გამომავალმა მინი-გაზეთმა „ცერკოვ ვოკრუგ მირამ" მთელი გვერდი დაუთმო „საბჭოთა დისიდენტის გიორგი ვინსის დედას" — სწორედ ასე წარუდგინეს იგი საზოგადოებას — მონაჩმახს. აქვეა განცხადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტში და მაჯლობის წერილი დოქტორ მუნისადმი — ამერიკის ბიბლიური ინსტიტუტის დირექტორისადმი — გამოგზავნილი რელიგიური კინოფილმებისა და ბრმაჭრებისათვის, რომლებიც შეიცავს ახსნა-განმარტებითს ტექსტს რუსულ ენაზე. ერთ-ერთი ბიულეტენის „პროფესორი და წინასწარმეტყველების" ფურად ყდაზე მოსკოვის მომავალი ოლიმპიადის მარკაა გამოსახული: როგორც ხედავთ, დოქტორი მუნიც ემზადება ოლიმპიადისათვის... და უცებ ქაღალდების ამ გროგაში თვალში მომხვდა საბჭოთა ავტორების ორი ფურადი ბროშურა. ერთს ეწოდება „კანონმდებლობა რელიგიური კულტების შესახებ", მეორეს — მე იგი უკვე ვასსენე — „დიეგრესია უდინამიტოდ".

— რატომ მიგქონდათ შვედეთში საბჭოთა ანტირელიგიური ლიტერატურა?

— მარტინსონის დაგალება იყო, — უმალ გვიპასუხა სარელდმა, — მას განსაკუთრებით აინტერესებდა „დიეგრესია უდინამიტოდ".

ამ ლიტერატურისადმი „სლავური მისიის" შეფის ინტერესი ადვილი ასახსნელია. კომუნისტებთან ომი უფრო ადვილია, როცა მათი იარაღი იცი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. ამ საქმის დიდოსტატების „სოფეტოლოგია" ბანაკიდან, რომლებიც მოხერხებულად გაბმ

საქართველოს ომა-ბარში

ინფორმაცია

გმირული ცხოვრება

ს. გ. შაუმიანის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

„იცით, მე იმ ადამიანებს ვეკუთვნი, რომლებზეც რუსები ამბობენ, „მგზნებარე, გატაცებული ნატურაო", — ამბობდა ჭაბუკობის წლებში ს. შაუმიანი.

სტეფანე გიორგის ძე შაუმიანის ცხოვრების მიზანი, რომელსაც გონებისა და გულის მთელი მგზნებარება მოახმარა, იყო რევოლუცია. მთელი მისი ცხოვრებაც გმირობა იყო.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური, მუზეუმის თბილისის ფილიალში გახსნილი ს. გ. შაუმიანის დაბადების მე100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა მოგვაგონებს ამას, რომ შაუმიანი დაიბადა თბილისში, 1878 წლის 1 (13) ოქტომბერს, აქ გაიარა მისმა ბავშვობამ და ჭაბუობამ.

XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ს. გ. შაუმიანი დაუახლოვდა რუს მარქსისტებს, რომლებიც რუსეთის ცენტრალური რაიონებიდან კავკასიაში იყვნენ გადმოსახლებული, ქართველ რევოლუციონერებს ა. წულუკიძეს, ვ. კეცხოველს, მ. ცხაკაიასა და სხვებს, და ხარბად დაეწაფა მარქსიზმს.

მხატვარ გ. რუხაკიანის სურათზე აღბეჭდილია ს. გ. შაუმიანის პირველი შეხვედრა ვ. ი. ლენინთან ჟენევაში. საერთოდ, გამოფენა აშუქებს ს. გ. შაუმიანის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ყველა ძირითად ეტაპს.

განსაკუთრებით საგულისხმოა ბაქოს პროლეტარიატთან დაკავშირებული მისი ცხოვრების ფურცლები, რასაც გამოფენაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

გამოფენის ერთ-ერთ სტენდზე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი მოწმობა, რომლითაც რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბაქოს ხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. გ. შაუმიანი დაინიშნა კავკასიის საქმეთა დროებითს საგანგებო კომისრად.

გამოფენის მასალები ასახავს ს. გ. შაუმიანის გმირულ ცხოვრებას, როცა იგი მეთაურობდა საბჭოთა ხელისუფლებას ბაქოში, გამოფენაზე წარმოდგენილი დოკუმენტები მოწმობს, რომ ვ. ი. ლენინს არაერთგზის მოუწონებია ს. გ. შაუმიანის მტკიცე და გადამწყვეტი პოზიცია, ბაზს უსვამს, რომ მას მთლიანად ენდობა და უგზავნის დახმარებას. მაგრამ ბაქოს საბჭოთა ხელისუფლება უცხოეთის ინტერვენტთა, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტთა და სოციალ-შემთანხმებელთა ზეგავლენით დროებით დაეცა. ს. გ. შაუმიანი, ჰ. გ. ჯაფარიძე და მათი ამხანაგები დაუპატიმრეს.

ჩვენს წინაშეა მხატვარ ხ. ბროდსკის ნახატი „26 კომისრის დახვრეტა". 60 წლის წინათ, 1918 წლის 20 სექტემბერს ისინი ინგლისელმა ინტერვენტებმა და ეხერებმა დახვრიტეს ამიერკავკასიის ქვეშრობებში.

გამოფენა ნათლად წარმოგვიდგენს უდრეკ რევოლუციონერ-ლენინელს, კომუნისტმოსახოვის მგზნებარე მებრძოლს, ამიერკავკასიის პროლეტარიატის ერთ-ერთ საუკეთესო შვილს. (საქინფორმი).

სოფელი სახეს იცვლის

ზუგდიდი. (საქ. კორ.). რუხი მდინარე ენგურის სანაპიროზე გაშლილი ერთ-ერთი ლამაზი სოფელია. მას ამშვენებს კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაგებობები, სავაჭრო ცენტრი, ყვავილნარებში ჩამჯდარი კულტურის სასახლე, მრავალსართულიანი, ლამაზად ნაგები შენობები, გაზონები, სკვერები, ხეივნები, დღის განათების ლამპიონები.

სოფელში შენდება სპორტული კომპლექსი: ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, სარბენი ბილიკები, საცურაო დახურული აუზი, სასტუმრო, სპორტდარბაზი. სპორტული კომპლექსი სამი ათასი მაყურებლისათვის არის გათვალისწინებული. გარდა ამისა სოფელში შენდება შინმოუსვლელთა ობელისკი და რვაწლიანი სკოლა.

რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს" გამგეობამ წლეულს მშენებლობისათვის 202 ათასი მანეთი გაიღო. ამ თანხიდან მშენებლებს დღემდე ათვისებული აქვთ 170 ათასი მანეთზე მეტი. სპორტულ კომპლექსს ამენებენ რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები.

გ. ნოდია.

წყარო ყანაში

საჩხერე. (საქ. კორ.). ქორეთელი მეცხრეკლასელი მურთაზ გამაძე სანიმუშო მოსწავლედ ითვლება. ბიჭუნა შრომაშიც გამორჩეულია. იგი თავისუფალ დროს გვერდში უდგას მამას საკოლმეურნეო ყანაში.

მამის გაპიროვნებული ნაკეთი სოფლიდან საკმაოდ დაშორებულია და ახლომახლო წყარო არსად არის. სახლიდან დოქით წაღებული წყალი მალე თბებოდა და დასალევად ალარ გარგოდა. ერთხელ მურთაზმა მინდვრად სველი ადგილი შენიშნა. მიწა ამოთხარა და წყალიც ამოვიდა. მოსწავლის სახარულს საზღვარი არ ჰქონდა. სახლიდან მოიტანა აგური, ხრეში, ცემენტი და პატარა აუზი გააკეთა თავისი ოჯახისთვის. იქვე მოაწყო ჩამოსაყდომად სკამეფიცარი, ნერგებიც გაახარა...

ყანაში მომეშალე კოლმეურნეები ახლა ამ წყაროსთან ისვენებენ და შრომისმოყვარე მოსწავლის მადლიერები არიან.

ო. ნიკაბაძე.

საქართველოს ფეხბურთი

პირველი ჩემპიონები

მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა

ტაშკენტი, 19 სექტემბერი („კომუნისტის" სპეც. კორ.). მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაზე ჩემპიონთა სამაგისტროდ ქირველად აღიარდა საქართველოს ქობნი და აღიმართა რესპუბლიკის დროშა. გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ჭაბუკ აკრობატი კვარტეტი — ძმები გია და თამაზ ალაპიშვილები, გია გაგოშვილი და თემურ ბერაძე. ძალიზიერ ოთხეულთა ასპარეზობაში სპარტაკიადის ოქროს მედალოსნები თბილისის 114-ე საძუალო სკოლის მოსწავლეები არიან. საერთო — გუნდუო ჩათვლაში საქართველოს აკრობატებმა მესამე სამაგიერო ადგილი ძოიპოვეს.

ქვეყნეულში მეორე შეხვედრა ოთოგეს საქართველოს ჭაბუკმა ფეხბურთელებმა, რომლებიც დაამარცხეს ყირგიზი თანატოლები — 3:1.

პირველი მატჩი ქართველ ფეხბურთელებმა სომხეთის კოლექტივთან გამართეს და გაიმარჯვეს ანგარიით 8:4.

ჭადრაკში პირველ ორ ტურში გადადებული ოთხივე პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ საქართველოს ოქვდრაკეებს 9 ქულა აქვთ და ქეიჯუფში ჯერჯერობით IV ადგილზე არიან.

წარმატებით დაიწყეს გამოსვლა ჩვენი რესპუბლიკის თავისუფალი სტილით მოჭიდაკეებმა. ორ-ორი გაძლოჯვება მოიპოვეს თბილისელებმა ხურაბ ტატუაძვილმა, პაატა ალეხიძემ და ლერან ლერაბიშვილმა.

ჩვენმა ფრენბურთელმა გოგონებმა მოუგეს სომხეთის ნაკრებს (3:2), ხოლო ჭაბუკები დამარცხდნენ რუსეთის სფს რესპუბლიკის კოლექტივთან შეხვედრაში (2:3).

ერთობ უხეიროდ ასპარეზობენ საქართველოს ჭაბუკი ხელბურთელები. ისინი ზედიზედ მესამედ დამარცხდნენ.

თ. გაჩეჩილაძე.

მატჩები მსოფლიო პირველობაზე

FIDE

GENS UNA SUMUS

რთულ პოზიციაში

ბაგიო, 18 სექტემბერი. (საგდესის სპეც. კორ. ა. როშალი). მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის მატჩის მე-17 პარტიის შემდეგ, რომელშიც ა. კარპოვმა მეოთხე (ექვსი აუცილებლიდან) გაგარჯვება მოიპოვა, პრეტენდენტმა „ნაკრებ გუნდს" სასწრაფოდ შეემატა კიდევ ორი „მონაწილე". კორჩნოის — მოქალაქეობის არმქონე კაცის „გუნდში", რომელშიც აქამდე ინგლისის, არგენტინის, ისრაელის, შვეიცარიის წარმომადგენლები შედიოდნენ ოფიციალურად (სპეციალური განცხადების საფუძველზე) მიიღეს კიდევ ორნი — ამერიკელები. ეს ორი ამერიკელი ეკუთვნის „ანანდა მარგას" სექტას, რომელსაც ცენტრი ინდოეთში აქვს. ამ შეკვეთამ დიდი გულისწყრომა გამოიწვია. რა თქმა უნდა, კორჩნოის არაკეი არ ელავება „გუნდში" წვეული ახალი წევრების ეროვნული კუთვნილების ან შეხედულებების გამო. საქმე ის არის, რომ ამ ფანატიკოს — ტროტსკისტა წევრს (ქალ-ვაჟს) ამას წინათ ფილიპინების სასამართლომ 17 წლის პატიმრობა მიუსაჯა მანილაში ინდოეთი დიპლომატის სიცოცხლის ხელყოფის გამო. აპელაციის განხილვამდე დიდი ფულადი გირაოთი განთავისუფლებული სექტანტები პრეტენდენტმა სამუშაოდ მიიწვია როგორც იოგთა სისტემის მიმდევარი ფსიქოლოგები. თვით „კორჩნოის სეკუნდანტებმაც კი ვერ დამალეს თავიანთი უკმაყოფილება მისი ახალი ამფსონების მოსვლის გამო.

ქების ღირსნი არიან მატჩის ორგანიზატორები და ჟიურის წევრეა: მათ მტკიცედ მოითხოვეს გაეძევებინათ დანნამავე ელემენტები ჯერ სათამაშო დარბაზიდან, მერე კი საერთოდ ბაგიოდან. სექტანტებმა დარბაზში ილოცეს თავიანთი პატრონის წარმატებისათვის და მერე გაემგზავრნენ ჩადენილი დანაშაულის სასამართლო გარჩევის ადგილზე. ამის შემდეგ მატჩზე ვითარება შედარებით გამოსწორდა.

პარადოქსულია, მაგრამ სწორედ იმ მონაკვეთში, სადაც პრეტენდენტმა შეძლო ანგარიშში სხვაობა 2 ქულამდე შეემცირებინა, ჩემპიონის საჭადრაკო უპირატესობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო. მე-18, მე-20 და 22-ე პარტიებში, სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, მსოფლიო ჩემპიონს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა.

ამ მხრივ საგულისხმოა 22-ე პარტია. კარპოვმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა და მეტისმეტად იჩქარა მისი რეალიზაცია. რომ საკონტროლო დრო დამთავრდა, იგი ინერციით ელვისებურად აკეთებდა სვლებს და მეტოქეს დამატებითი შანსი მისცა. გადადებულ პარტიაში კი მოგება ალარ აღმოჩნდა...

კარპოვი 23-ე პარტიაში საოცრად მშვიდად იყო, იგი საბრძოლოდ განწყობილი მოვიდა სათამაშო დარბაზში. საკმაოდ სწრაფად გაათანაბრა პოზიცია, არ ისურვა მოვლენათა ნელ და კანონზომიერ განვითარებას დასჯერებოდა და თვითონ წამოიწყო შეგებით ორმხრივი გართულებები.

მაგრამ გამარჯვების მოპოვება ამ დაძაბული მატჩის პარტიაში, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია.

მსოფლიოს პირველობის მატჩში ორი თვის მანძილზე უკვე ნათამაშევია 23 პარტია. ახლანდელი რეგლამენტის თანახმად ეს მატჩი პარტიების რაოდენობით უკანასკნელი ორმოცი წლის ყველა ამგვარ შეჯიბრებას დაჩრდილავს. როგორც ფილიპინური გაზეთი „ბიულეტენ ტუდეი" აღნიშნავს, ამ მატჩში 24 პარტია რომ გათამაშათ, როგორც ეს ომისშემდგომ წლებში იყო, — კარპოვს დღესვე გაუგრძელებდნენ ჩემპიონის რწმუნებებს.

რედაქტორი
ლ. მჟელიშვილი.

ორი სვლა... და ყაიმი

ბიშკეკი. (საქინფორმი). ბიშკეკში ჩატარებულ ოლიმპიადაზე ქალთა ნაკრებ გუნდებს ორ-ორ ოქროს მედალი ერგო. ეს ამბავი ადგილობრივ ბეჭდვითი ორგანოებიც ერთ-ორ ფრაზაში ეუბნებიან ერთმანეთს. ეს ამბავი ალბათ ასეთ ფორმულირებას ეტყვიან: ორ ოქროს მედალი ერგო